



კავკასიის ეკონომიკის კვარტალური მიმოხილვა

(1-ლი კვარტალი, 2026 წელი)









სამხრეთ კავკასიაში პოსტპანდემიურ პერიოდში არსებული მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპი შენედა. 2026 წლის პირველ კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, რეგიონის ეკონომიკა 3.4%-ით გაფართოვდა. შედარებისთვის, 2025 წლის პირველ კვარტალში სამხრეთ კავკასიის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 3.6% იყო. ამ პერიოდში რეგიონის ეკონომიკის გაფართოების ტემპის შენელება დიდწილად უკავშირდება აზერბაიჯანში ეკონომიკური ზრდის დაბალ ტემპს, რაც კავკასიის ეკონომიკის 1/2-ზე მეტია. ამ ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება, მეტწილად, ნავთობის წარმოების ვარდნაა, რაც, თავის მხრივ, აზერბაიჯანის ეკონომიკის მესამედს შეადგენს.

საგარეო ვაჭრობა ზრდის მამოძრავებელი ფაქტორია. რეგიონის ეკონომიკები დიაა, რაც ეკონომიკურ განვითარებაში საგარეო ვაჭრობის მნიშვნელოვან როლს განაპირობებს. 2026 წლის პირველ კვარტალში კავკასიის სავაჭრო ბრუნვამ 20 849.1 მლნ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდს 6.6%-ით ჩამორჩება. ამ კუთხით, მიმდინარე წლის დასაწყისში ვაჭრობის დინამიკა გაუარესდა. ამ პერიოდში ზრდის დინამიკა საქონლის ექსპორტს ახასიათებს. 2026 წლის პირველ კვარტალში, წინა წელთან შედარებით, ექსპორტის ღირებულება 2.7%-ით გაიზარდა. თუმცა, ამავდროულად, იმპორტი 13.4%-ით შემცირდა, რაც, ნავთობის ინდუსტრიის გამო, აზერბაიჯანიდან ექსპორტის ღირებულების შეკუმშვას უკავშირდება.

კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები მნიშვნელოვანი წყაროა კავკასიაში (განსაკუთრებით - საქართველოში) ადგილობრივი მოხმარებისა და ინვესტიციების დასაფინანსებლად. 2026 წლის პირველ კვარტალის ბოლოს რეგიონის კომერციული ბანკების მიერ გაცემული მთლიანი სესხების მოცულობა 68 134.2 მლნ დოლარს შეადგენდა, რაც წლიურად 17.9%-ით გაზრდილია. სესხების მოცულობის წლიური ზრდის დინამიკა ამ პერიოდში შედარებით გაუარესებულია, რადგან გასული წლის მეოთხე კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი 19.4%-ს შეადგენდა.

ინფლაცია რეგიონის ცენტრალური ბანკების გამოწვევად რჩებოდა, რადგან 2026 წლის პირველ კვარტალში ფასების საერთო დონის ზრდა მეტწილად სამიზნე მაჩვენებელს აღემატებოდა. სამომხმარებლო ფასების ზრდის კუთხით, შედარებით პოზიტიური მდგომარეობა სომხეთში იყო, ხოლო ნეგატიური - აზერბაიჯანში. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში კავკასიის წლიური ინფლაციის საშუალო მაჩვენებელი 4.8%-ია, რაც წინა პერიოდებთან შედარებით, აჩქარებულია. მიუხედავად ამისა, ცენტრალური ბანკების მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი უმეტესად უცვლელი რჩებოდა.









2022-2024 წლების მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპი 2025 წელს შენედა. 2026 წლის პირველ კვარტალში საქართველოს ეკონომიკა 9.1%-ით გაიზარდა, 2025 წლის ანალოგიურ პერიოდში ზრდის ნიშნული 9.9%-ს აღწევდა. მიუხედავად იმისა, რომ გასული წლის განმავლობაში ეკონომიკის ზრდის ტემპი შენელებული იყო, ის 2026 წლიდან კვლავ აჩქარდა და გრძელვადიანი საშუალო მაჩვენებელს აღემატება. ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი ძალა კვლავ მომსახურებაზე ორიენტირებული, შედარებით ნაკლებად იმპორტ-ინტენსიური სექტორებია. 2026 წლის პირველი კვარტლის ზრდაში მაღალი წვლილი შეჰქონდა ინფორმაციისა და კომუნიკაციის, ასევე, განათლების სექტორებს, რომლებიც მომსახურების ექსპორტზე ორიენტირებული დარგებია. ამასთან, მოხმარების ფორმირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია პოზიტიურმა დინამიკამ ტურიზმის სექტორში, სადაც შემოსავლები 6%-ით გაიზარდა.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, საქართველოს სავაჭრო ბრუნვის გაფართოების ტემპი შენელებულია. 2026 წლის პირველ კვარტალში ბრუნვის მაჩვენებელი წლიურად 1.5%-ით გაიზარდა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, დაბალია, რადგან 2025 წლის პირველ კვარტალში ზრდის ტემპი 20.9%-ს აღწევდა. 2026 წლის დასაწყისში ექსპორტის უფრო მაღალი ზრდის ტემპი შეინიშნებოდა, ვიდრე იმპორტის. პირველ კვარტალში ექსპორტირებული საქონლის ღირებულება წლიურად 23.3%-ით გაიზარდა, ხოლო იმპორტის შემთხვევაში, კლება 5.4%-იან ნიშნულზე იყო. ამ პერიოდში, იმპორტის ღირებულება ექსპორტის მაჩვენებელს 144.3%-ით აღემატებოდა. საქართველოდან ძირითად საიმპორტო საქონლად ავტომობილების იმპორტი და შემდეგ მათი რეექსპორტი რჩებოდა.

ბოლო პერიოდში საქართველოში მთლიანი სესხების ზრდის ტემპი შენელებული იყო. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში სესხების წლიურმა ზრდამ 14.8% შეადგინა, რაც წინა წლის ბოლო კვარტლის მაჩვენებელს მცირედით აღემატება, ხოლო 2025 წლის პირველი კვარტლის ზრდის ტემპს 3 პ.პ.-ით ჩამორჩება. ამ პერიოდში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, სესხები გაძვირდა. თუკი 2025 წლის პირველ კვარტალში ეროვნულ ვალუტაში საშუალო საპროცენტო განაკვეთი 14.6% იყო, 2026 წლის ამავე კვარტალში უკვე 15%-ს აღწევდა. მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხების ღირებულება 16.5% და 14.8%-ს შედგენდა.

წელს საქართველოში ფასების საერთო დონის მატება აჩქარებულია. ამ პერიოდიდან ინფლაცია სამიზნე მაჩვენებელს (3%) აღემატება. 2025 წლის მეოთხე კვარტალში წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 4.7%, რაც 2026 წლის პირველ კვარტალში 4.6% იყო. ამ პერიოდში სურსათისა და ჯანდაცვის მომსახურების ფასები უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე სამომხმარებლო კალათის სხვა სასაქონლო ჯგუფი. აჩქარებული ინფლაციის ფონზე, 2026 წლის პირველ კვარტალში ცენტრალური ბანკის რეფინანსირების განაკვეთი უცვლელი რჩებოდა. თუმცა 2023 წლიდან ინტენსიურად მცირდებოდა პოლიტიკის განაკვეთი.









2022-23 წლების მაღალი ეკონომიკური ზრდის შემდეგ, 2024 წლის განმავლობაში, სომხეთში ეკონომიკის გაფართოების ტემპი შენედა. ამ წლის მეოთხე კვარტალში ზრდის ნიშნული მხოლოდ 3.7% იყო. თუმცა 2025 წელს ეკონომიკის ზრდის ტემპი კვლავ აჩქარდა. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში სომხეთის ეკონომიკა 7.1%-ით გაიზარდა, ხოლო წინა კვარტალში 9.8%-ს შეადგენდა. ამ პერიოდში სამშენებლო სექტორის ზრდის ტემპი მაღალი იყო, რაც წინა წლების დონეს აჭარბებდა. შესაბამისად, ეკონომიკის ზრდაში სამშენებლო დარგს გამოკვეთილად მნიშვნელოვანი კონტრიბუცია ჰქონდა, რაც განპირობებული იყო კერძო სექტორის მიერ უძრავ ქონებაში, ხოლო საჯაროს მხრიდან - ინფრასტრუქტურაში ინვესტიციებით. ამავდროულად, ეკონომიკის სტრუქტურულიდან გამომდინარე, ზრდაში ყველაზე მაღალი წვლილი მომსახურების სექტორს ჰქონდა, სადაც მაღალი ზრდა ადმინისტრაციული მომსახურების, ტრანსპორტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სერვისების გაფართოების შედეგი იყო.

სომხეთის საგარეო ვაჭრობის ბრუნვა გაუმჯობესებულია. 2026 წლის პირველ კვარტალში, წინა პერიოდებთან განსხვავებით, ვაჭრობის ბრუნვა 5.4%-ით გაიზარდა. წინა წლის ანალოგიურ პერიოდში საგარეო ვაჭრობის ბრუნვა 53.7%-ით იყო შემცირებული. 2026 წელს სავაჭრო ბრუნვის ზრდა ორივეს - იმპორტსა და ექსპორტს - უკავშირდება. მიმდინარე წლის დასაწყისში სომხეთის ექსპორტის ღირებულება წლიურად 4.7%-ით გაიზარდა, ხოლო იმპორტის მიმართულებით 5.7%-იანი მატება იყო. ამ პერიოდში, იმპორტის ღირებულება ექსპორტისას 66%-ით აღემატებოდა. ძირითად საექსპორტო და საიმპორტო საქონლად ძვირფასი ლითონები და ქვები რჩებოდა. თუმცა ამ უკანასკნელის როლი სომხეთის ექსპორტში ორჯერ უფრო მაღალია, ვიდრე იმპორტის ღირებულებაში.


2026 წლის დასაწყისში სომხეთში კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკის დაკრედიტების ტემპი თვალსაჩინოდ შენედა. ამ პერიოდში სესხების მთლიანი მოცულობა, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 26.8%-ით მეტი იყო. 2026 წლის პირველ კვარტალში ეს მაჩვენებელი 21.4%-ს აღწევდა. 2026 წლის პირველ კვარტალში ეროვნულ ვალუტაში მოკლევადიან სესხებზე საშუალო საპროცენტო განაკვეთი 13.7% იყო, ხოლო კომერციულ ბანკებში გრძელვადიანი კრედიტების ღირებულება, საშუალოდ, 15.8%-ს შეადგენდა. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, სესხები გაძვირებული იყო.

2024 წლის დაბალი ინფლაციის შემდეგ, შარშან სომხეთის ეკონომიკაში ფასების საერთო დონის ზრდა აჩქარდა. 2026 წლის პირველ კვარტალში ინფლაცია სამიზნე მაჩვენებელზე (3%) მაღალი - 4.2% იყო. მეოთხე კვარტალში ეს მაჩვენებელი 3.4%-ს შეადგენდა. 2026 წელს სამომხმარებლო კალათაში ფასების სწრაფი ზრდის ტემპით განათლების მომსახურება ხასიათდებოდა. ფასების დონის მატების აჩქარების მიუხედავად, სომხეთის ცენტრალური ბანკი მონეტარულ პოლიტიკას ამსუბუქებდა. 2025 წლის პირველ კვარტალთან შედარებით, 2026 წელს რეფინანსირების განაკვეთი 0.5 პროცენტული პუნქტით, 6.5%-მდე შემცირებულია.







2024 წლის მაღალი ეკონომიკური ზრდის შემდეგ, აზერბაიჯანის ეკონომიკური ზრდის ტემპი შენედა. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ეკონომიკა 0.3%-ით შემცირდა, ხოლო წინა წლის ანალოგიურ პერიოდში 0.3%-ით გაიზარდა. 2025 წლის მეოთხე კვარტალში აზერბაიჯანის ეკონომიკა 1.4%-ით გაიზარდა. ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელება ნავთობის ფასებისა და წარმოების კლებას უკავშირდება, რადგან ნავთობი და გაზის ინდუსტრია აზერბაიჯანის ეკონომიკის დაახლოებით 30%-ს იკავებს. მიმდინარე წელს ნავთობისა და გაზის ინდუსტრია ნომინალურ გამოსატულებაში 1.2%-ით შემცირდა. კერძოდ, დაფიქსირდა ნედლი ნავთობის წარმოების 3.4%-იანი კლება და გაზის მოპოვების 0.7%-იანი ზრდა. თუმცა გაიზარდა მაჩვენებლები სხვა სექტორებში, რაც შინამეურნეობებისა და მთავრობის მოხმარების ზრდამ განაპირობა. მოხმარების ზრდას ხელი შეუწყო სამომხმარებლო სესხების ზრდის ტემპისა და მთავრობის სოციალური დანახარჯების მატებამ.



2026 წლის პირველ კვარტალში აზერბაიჯანის საგარეო ვაჭრობის ბრუნვა წლიურად 15.1%-ით შემცირდა. ეს, წინა კვარტლის ზრდის შემდეგ, გაუარესებაა, მაგრამ 2023 წლის კლების დინამიკას მკვეთრად ჩამორჩება. წინა წლის ბოლო კვარტალში ვაჭრობის ბრუნვის ღირებულება 2.1%-ით იყო გაზრდილი. დაღმავალი დინამიკა ორივე - ექსპორტსა და იმპორტს უკავშირდება. 2026 წლის პირველ კვარტალში ექსპორტი 2.4%-ით შემცირდა, ხოლო იმპორტის ღირებულება 29.3%-ით შეიკუმშა. ექსპორტის ძირითადი კომპონენტი ნავთობისა და გაზის ინდუსტრიაა, ხოლო მათი მოპოვების კლება აზერბაიჯანის ექსპორტის ღირებულების შემცირებაში აისახა. ძირითადი საიმპორტო საქონელი კი მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა და ელექტრონიკა იყო.



აზერბაიჯანში 2024 წელს მთლიანი სესხების ზრდის მაღალი ტემპის შემდეგ, დაკრედიტების ტემპი შენედა. თუკი 2025 წლის პირველ კვარტალში კომერციული ბანკების სესხების მოცულობის წლიური ზრდა 16.7% იყო, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ეს მაჩვენებელი 8.9%-ს შეადგენდა. ამ პერიოდში კომერციულ ბანკებში ეროვნული ვალუტით სესხებზე საპროცენტო განაკვეთი საშუალოდ 19% იყო, ხოლო უცხოურ ვალუტაში ეს მაჩვენებელი საშუალოდ 6.5%-ს აღწევდა. 2026 წლის პირველ კვარტალში, წინა კვარტლებთან შედარებით, ადგილობრივ და უცხოურ ვალუტაში სესხები გაძვირებული იყო.



2025 წელს აზერბაიჯანში წლიური ინფლაციის დონე, წინა წელთან შედარებით, მაღალ ნიშნულზე ნარჩუნდებოდა, მაგრამ სამიზნე მაჩვენებლის (4 ± 2%) ზედა ზღვარს არ აღემატებოდა. ეს ტენდენცია 2026 წელსაც გრძელდება. პირველ კვარტალში ფასების საერთო დონის ზრდა წლიურად 5.7% იყო, წინა მეოთხე კვარტალში კი 5.5%-ს შეადგენდა. თუმცა, ინფლაციის აჩქარების ფონზე, აზერბაიჯანის ცენტრალური ბანკი მონეტარულ პოლიტიკას ამსუბუქებდა. 2025 წლის ბოლოს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 6.75% იყო, რაც, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, 0.25 პროცენტული პუნქტით ნაკლებია. თუმცა შემდეგ პერიოდში განაკვეთი უცვლელი რჩებოდა.

